

**თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები.**

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა.
2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2018 წლის თებერვალი - 2018 წლის 31 დეკემბერი.
3. პროგრამის ბიუჯეტი: 70 000 (სამოცდაათი ათასი ლარი) ლარი.
4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი.
5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

**მუხლი 2. პროგრამის მიზანი.**

პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ (რეგისტრირებულ) მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას.

**მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი.**

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული მოქალაქეების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

**მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორია.**

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ (რეგისტრირებულ) სოციალურად გაჭირვებულ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი დაზიანებულია და საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სოციალურად გაჭირვებული მოქალაქეებია, რომელთა ოჯახებიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ასევე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი, მარტოხელა პენსიონერთა, მრავალშვილიანთა, მძიმე ავადმყოფთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ ან დასახიჩრებულ მეომარ მოქალაქეთა ოჯახები.
3. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქე (ოჯახი) პროგრამით განსაზღვრულ ფინანსურ დახმარებას მიიღებს მხოლოდ ერთჯერადად.

**მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებისათვის გასაცემი ფინანსური დახმარების ოდენობა და მისი გაცემის პირობები**

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის და საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, საცხოვრებელი სახლის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა უძრავი ქონების (დაზიანებული საცხოვრებელი სახლის) ფლობის შესახებ და ანგარიშის ნომერი ლიბერთი ბანკიდან.
2. ამ მუხლის მე-1 პუნქტში აღნიშნულ განცხადებას შეისწავლის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც ამოწმებს მოქალაქის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას, მოქალაქის ოჯახის სოციალურ პირობებს და ადგენს შესაბამის დასკვნას მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილების (რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მოქალაქისათვის გასაწევი ფინანსური დახმარების ოდენობა) ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
3. კომისიის დასკვნა შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს, რომელიც კომისიის დასკვნის საფუძველზე ამზადებს

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს მოქალაქისათვის ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს პროგრამის ფარგლებში მიეცემათ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება.

5. ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენის შემთხვევაში კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეაფასებს სტიქიური მოვლენის შედეგად მიღებულ ზარალს, პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მიეცეს არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება.

6. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე

